ხელშეკრულება N2024/01/07
შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 17 იანვარი, 2024წ.

ერთი მხრივ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, (შემდგომში „შემსყიდველად“ წოდებული), წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ლანა ჯიბლაძის სახით და მეორე მხრივ შპს „ლოპოტა“ (შემდგომში „მიმწოდებლად“ წოდებული), წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ქევანიშვილი სახით, (ორივე ერთად წოდებული, როგორც, „მხარეები“), ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტის 2024 წლის 15 იანვრის N9262 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება“ – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე;
1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურეობის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;
1.6 „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება;
1.7 „ინსპექტირება“ – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 2024 წლის 18 იანვარს სასტუმროს ნომრის მომსახურების შესყიდვა, სასტუმრო „ლოპოტაში“ შემსყიდველის მიერ დაგეგმილი სამუშაო შეხვედრის (რომლის მიზანია დამისამართების პროექტის დახურვა, მიწის სისტემური რეგისტრაციის წლიური შედეგების შეჯერება და მომდევნო წლის სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა) მიზნით.
2.2 მომსახურების დეტალური პირობები მითითებულია დანართ N1-ში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ინვოისისა და ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად. ამასთან, ხელშეკრულების მაქსიმალური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 3105.00 (სამი ათას ას ხუთი) ლარს.
3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4 მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) ამ ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული პირობებითა და ვადებში უზრუნველყოს შემსყიდველისათვის მომსახურების გაწევა;
ბ) შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე არ გააუქმოს ჯავშანი, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელს, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოეშვება ჯარიმის სახით ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20 %-ის გადახდის ვალდებულება;

გ) მომსახურების გაწევის დროს, საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად უზრუნველყოს უსაფრთხოების ნორმების დაცვა. ამ პუნქტის დარღვევით გამოწვეულ ნებისმიერი სახის მატერიალური/არამატერიალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება შემსყიდველის წინაშე დაეკისრება მიმწოდებელს;
დ) უზრუნველყოს შემსყიდველის გაფრთხილება ნებისმიერი სახის მოსალოდნელი პრობლემის/საფრთხის შესახებ, რომელიც შესაძლოა წარმოეშვას შემსყიდველს მომსახურების მიღების პერიოდში;
ე) წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ასევე მისი ვადის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზის მიუხედავად, საიდუმლოდ შეინახოს და არ გაანდოს მიღებული ინფორმაცია ნებისმიერ მესამე პირს, ან თავის სასიკეთოდ ნებისმიერი გზით არ გამოიყენოს მიმწოდებლის ნებისმიერი სახის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა მომსახურების გაწევის შედეგად;
ვ) კონფიდენციალურობის პუნქტის დარღვევა წარმოადგენს მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების დაუყოვნებლად შეწყვეტის საფუძველს. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას, მიმართოს სასამართლოს მიყენებული მატერიალური ან/და არამატერიალური ზიანის კომპენსაციის მიზნით;
ზ) იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველის მიერ არ განხორციელდება დანართი N1-ით გათვალისწინებული მომსახურების (სასტუმროს ნომერი, საკონფერენციო დარბაზით სარგებლობა, ყავის შესვენება) სრულად მიღება, მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების ფასი დააკორექტიროს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად;
თ) არ გადასცეს მასზე დაკისრებული მოვალეობები სხვა რომელიმე პირს შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე;
ი) მიმწოდებელს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა გაწეული მომსახურების ხარისხზე.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;
ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;.

5. ინსპექტირება

5.1 შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლის მიზნით ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.
5.2 ინსპექტირებას განახორციელებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მსოფლიო ბანკის „მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის“ პროექტის, მიწის ადმინისტრირების მომსახურების გაუმჯობესების და ციფრული მმართველობის ინფრასტრუქტურის შექმნის კომპონენტის საოპერაციო მიმართულების ხელმძღვანელი ეკატერინე მემანიშვილი.
5.3 შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე. ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნაკლის შესახებ ინსპექტირების განმახორციელებელი პირი წერილობითი სახით შეატყობინებს მიმწოდებელს.
5.4 იმ შემთხვევაში თუ ინსპეტირების შედეგად მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებითა და დანართი N1-ით გათვალისწინებულ პირობებს, შემსყიდველი უფლებამოსიალია მოსთხოვოს მიმწოდებელს ფასის კორექტირება ფაქტორბივად მიღებული მომსახურების შესაბამისად.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება წარმოებს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების შესაბამისი ინვოისისა და გაწეული მომსახურების შესახებ გაფიორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7. ანგარიშსწორება

a. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;
გ) დაფინანსების წყარო: მსოფლიო ბანკის კრედიტი-50% , სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრები-50%;
7.2. მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება აუნაზღაურდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მომსახურეობის გაწევისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ (თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია), მხარეთა მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

a. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;
b. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ში განსაზღვრული მომსახურეობის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20 %.
9.2 წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით, რის შესახებაც წინასწარ წერილობითი სახით უნდა აცნობოს ამ უკანასკნელს.
9.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ის ოდენობით.
9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

a. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით;
b. თუ რამე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

a. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით;
b. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით
შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

a. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში;.

b. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
c. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2024 წლის 19 თებერვლამდე.

14. ფორს-მაჟორი

a. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
b. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
c. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. სხვა პირობები

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე, იგი შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია ელექტრონულად.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №22
ხაზინის ერთიანი ანგარიში: №GE24NB0330100200165022,
სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22
სავალუტო კოდი: 202255407
ს/ნ - 202238621

მიმწოდებელი

შპს „ლოპოტა"
მისამართი: საქართველო, თელავის რაიონი, სოფელი ნაფარეული
საბანკო რეკვიზიტები: №GE41TB7836236020100003
მომსახურე ბანკი: სს „თიბისი ბანკი"
თიბისი ბანკი, კოდი: TBCBGE22
ს/კ 431176817

ლანა ჯიბლაძე
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი ქევანიშვილი
დირექტორი

Giorgi Kevanishvili 01008025726
Digitally signed by Giorgi Kevanishvili
Date: 2024.01.17 15:11:28

დანართი N

#	**სასტუმროს მომსახურება (საორიენტაციო)**	**ადგილმდებარეობა**	**მომსახურების ღირებულება (საორიენტაციო)**
1	**<u>18 იანვარი</u>** ➢ 9 (ცხრა) ერთადგილიანი სასტუმროს ნომერი საუზმით	**სასტუმრო** „ლოპოტა”	3 105.00 ლარი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2024 წლის 17 იანვარი

ვადასტურებ, რომ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, სასტუმროს მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, შპს „ლოპოტასთან" ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

ლანა ჯიბლაძე

_____

ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი